სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

_____

დამტკიცებულია:

<u>წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №1)</u>

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის

აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი

ქ.თბილისი,
2026 წ.

პრეამბულა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი აღიარებს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს სწავლა-სწავლების, კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური თავისუფლების ფუნდამენტურ საფუძველს და განსაზღვრავს საუნივერსიტეტო საზოგადოების ნდობაზე, პატივისცემაზე, სამართლიანობაზე, პასუხისმგებლობასა და პატიოსნებაზე დაფუძნებულ საქმიანობას.

უნივერსიტეტი იზიარებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლიანი კვლევითი საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემას, აკადემიური წერისა და კვლევის ეთიკური სტანდარტების დაცვას, აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის გამჭვირვალობას, ასევე აკადემიური საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური აკადემიური გარემოს ფორმირებასა და შენარჩუნებაში.

წინამდებარე კოდექსის მიზანია უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენცია, გამოვლენა და სამართლიანი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა, აგრეთვე სწავლა-სწავლების, კვლევისა და აკადემიური საქმიანობის ხარისხისა და სანდოობის უზრუნველყოფა.

კოდექსი ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისო სტანდარტებს, კვლევითი ეთიკის პრინციპებსა და თანამედროვე აკადემიური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად წარმოშობილი გამოწვევების გათვალისწინებას.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი (შემდგომში – „კოდექსი“) შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონის, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული და შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისო სტანდარტებსა და უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გაცნობიერებას, დამკვიდრებასა და განვითარებას.
3. უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობა, სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესი ეფუძნება აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებებს – პატიოსნებას, ნდობას, სამართლიანობას, პატივისცემას, პასუხისმგებლობასა და ეთიკურ სიმამაცეს და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
4. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მიზნით, სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესში ჩართული ყველა პირი ვალდებულია, აკადემიური და სამეცნიერო ნაშრომების მომზადებისას დაიცვას უნივერსიტეტში დადგენილი აკადემიური წერის, ციტირებისა და წყაროების მითითების წესები. შესაბამისი აკადემიური სფეროს ან საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია სხვა აღიარებული აკადემიური სტილის გამოყენება, თუ ეს შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 2. კოდექსის მიზანი

1. კოდექსის მიზანია უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის განმტკიცება, სწავლებისა და კვლევის პროცესის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის ხარისხის ხელშეწყობა, ასევე აკადემიური თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დაფუძნებული გარემოს განვითარება.
2. კოდექსი განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების ცნებას, მისი დარღვევის ფორმებსა და სახეებს, პრევენციის მექანიზმებს, დარღვევების გამოვლენის, განხილვისა და შესაბამისი რეაგირების გამჭვირვალე, თანმიმდევრულ, მიუკერძოებელ და სამართლიან პროცედურებს, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებსა და პროპორციულ ზომებს.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე კოდექსის მოქმედება ვრცელდება:

   ა) უნივერსიტეტში დასაქმებულ პერსონალზე (შემდგომში – „პერსონალი“), რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი ან აკადემიური საქმიანობის ფარგლებში მონაწილეობენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან შემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში შექმნილი ნაშრომის, აკადემიური პროდუქტის ან სხვა აკადემიური შედეგის შექმნაში, შეფასებაში, გასაჯაროებასა ან/და გამოქვეყნებაში;

   ბ) უნივერსიტეტის ყველა სტუდენტზე, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო, კვლევით ან შემოქმედებით საქმიანობას, მათ შორის შესაბამისი ნაშრომის, პროექტის ან სხვა აკადემიური პროდუქტის შექმნას, წარდგენას, გასაჯაროებას ან/და გამოქვეყნებას.
2. წინამდებარე კოდექსის მიზნებისთვის სტუდენტი არის პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების, დოქტორანტურის ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. უნივერსიტეტი პატივს სცემს და იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს და წინამდებარე კოდექსით დადგენილი მექანიზმებით უზრუნველყოფს სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ნებისმიერი ფორმით არაკეთილსინდისიერი მითვისების, გამოყენების ან წარმოდგენის შემთხვევების პრევენციასა და გამოვლენას.
4. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი და უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ვალდებულია, პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები, გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციას და თავი შეიკავოს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ნებისმიერი ფორმის ჩადენისა და ხელშეწყობისაგან.

თავი II. აკადემიური კეთილსინდისიერება, მისი პრევენცია და დარღვევის სახეები

მუხლი 4. აკადემიური კეთილსინდისიერება

1. აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების პრინციპს, რომელიც ეფუძნება პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობის, პატივისცემის, პასუხისმგებლობისა და ეთიკური სიმამაცის ღირებულებებს და გულისხმობს სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესში ეთიკური, პროფესიული და სამართლებრივი სტანდარტების დაცვას.
2. უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა დაუშვებელია. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი პრევენციული, საგანმანათლებლო, ტექნოლოგიური და პროცედურული მექანიზმების განვითარებას, დარღვევების გამოვლენასა და სამართლიან რეაგირებას.

მუხლი 5. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენცია

1. უნივერსიტეტი, მის ხელთ არსებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური საშუალებებით, ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის განვითარებას და ახორციელებს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციას ცნობიერების ამაღლების, სწავლების, მხარდაჭერისა და ცალკეულ შემთხვევებზე სამართლიანი რეაგირების მექანიზმების მეშვეობით.
2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირებას უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების, დაცვის მექანიზმებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების შესახებ.
3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ტექსტური მსგავსების გამოვლენის ელექტრონული სისტემების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში. ტექსტური მსგავსების გამოვლენის ელექტრონული სისტემა წარმოადგენს დამხმარე ტექნოლოგიურ ინსტრუმენტს, რომელიც ტექსტებს ადარებს მსგავსების იდენტიფიცირების მიზნით და უზრუნველყოფს ტექსტური თანხვედრის მაჩვენებლისა და შესაბამისი წყაროების შესახებ ინფორმაციის ფორმირებას.
4. აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის გამოვლენის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს Turnitin-ის (ტურნიტინი) ან სხვა შესაბამის ელექტრონულ პროგრამას, რომლის მეშვეობითაც ხდება ტექსტური მსგავსების ანალიზი. პროგრამული

ანგარიშით გამოვლენილი მსგავსება თავისთავად არ წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ავტომატურ დადასტურებას და შეფასდება უფლებამოსილი პირის მიერ ნაშრომის შინაარსის, ციტირების წესების, დარგობრივი სპეციფიკის, ნაშრომის მიზნისა და აკადემიური წერის სტანდარტების გათვალისწინებით.

5. სტუდენტურ სივრცეში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი:

   ა) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს ისეთი სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, რომლებიც მოიცავს აკადემიური წერის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის საკითხებს;

   ბ) სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, სისტემატურად ატარებს საინფორმაციო და პრევენციულ ღონისძიებებს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე, აცნობს მათ დარღვევების პრევენციის, გამოვლენისა და შემთხვევებზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს;

   გ) უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების, დარღვევების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

   დ) სტუდენტებს აცნობს ტექსტური მსგავსების გამოვლენის ელექტრონული სისტემების გამოყენების შესაძლებლობებს და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შესაბამის საინფორმაციო შეხვედრებს სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომის დამოუკიდებელი წინასწარი შემოწმების შესაძლებლობის შესახებ.

მუხლი 6. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები

1. წინამდებარე კოდექსის მიზნებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებია:

   ა) პლაგიატი – სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის, მისი ნაწილის, იდეის, თეორიის, კონცეფციის, მეთოდოლოგიის, მონაცემის, კვლევითი მასალის, გრაფიკის, დიაგრამის, გამოსახულების, ცხრილის, დასკვნის

ან სხვა აკადემიური პროდუქტის, როგორც საკუთარის წარმოდგენა, გამოყენება ან მითვისება შესაბამისი წყაროს სათანადო მითითებისა და ავტორობის აღიარების გარეშე;

ბ) კომპილაცია – სხვისი ნაშრომების, კვლევითი შედეგების ან სხვა საავტორო მასალის ისეთი გამოყენება, დაჯგუფება ან გაერთიანება, რომელიც არ შეიცავს ნაშრომის შემსრულებლის დამოუკიდებელ ანალიზს, კრიტიკულ დამუშავებას, ინტერპრეტაციას ან ორიგინალურ წვლილს და ქმნის არაორიგინალური აკადემიური პროდუქტის წარმოდგენის რისკს;

გ) ფაბრიკაცია – კვლევის პროცესში არარსებული მონაცემების, შედეგების, წყაროების, ციტატების, ფაქტების ან სხვა ინფორმაციის გამოგონება, შექმნა ან გამიზნულად წარმოდგენა, როგორც რეალურად არსებული;

დ) ფალსიფიკაცია – კვლევის პროცესში არსებული მონაცემების, შედეგების, წყაროების, მეთოდოლოგიის, გრაფიკების, გამოსახულებების, დოკუმენტაციის ან სხვა ინფორმაციის შეცვლა, მანიპულირება, შერჩევითი გამოყენება ან დამახინჯება, რაც იწვევს კვლევის შედეგების ან დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;

ე) კვლევითი მონაცემების ან სამეცნიერო შედეგების განადგურება – საკუთარი ან სხვისი კვლევითი მონაცემების, ჩანაწერების, დოკუმენტაციის ან შედეგების განზრახ განადგურება, დაფარვა ან დაზიანება, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის, პროფესიული ან დისციპლინური პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით;

ვ) **ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების არაკეთილსინდისიერი გამოყენება.**

2. წინამდებარე კოდექსის მიზნებისათვის პლაგიატის სახეებია:

ა) პირდაპირი პლაგიატი – სხვისი ნამუშევრის, ტექსტის, იდეის, ფორმულის, გრაფიკის, დიაგრამის ან სხვა ინტელექტუალური პროდუქტის მთლიანად ან ნაწილობრივ მითვისება შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე;

ბ) თვითპლაგიატი – პირის მიერ საკუთარი ადრე შექმნილი, წარდგენილი, გამოქვეყნებული ან შეფასებული ნაშრომის ან მისი ნაწილის ახალი და ორიგინალური ნაშრომის სახით წარმოდგენა შესაბამისი მითითების ან ნებართვის გარეშე, თუ ასეთი მოთხოვნა დადგენილია;

გ) მოზაიკური პლაგიატი – პლაგიატის ფორმა, როდესაც პირი სხვადასხვა ავტორის ტექსტებს, ფრაზებს, იდეებს ან ფორმულირებებს აერთიანებს სათანადო ციტირებისა და წყაროს მკაფიო მითითების გარეშე, ისე, რომ შეუძლებელი ხდება ავტორის ორიგინალური წვლილისა და გამოყენებული წყაროების ერთმანეთისგან გამიჯვნა;

დ) პარაფრაზირებული პლაგიატი – პლაგიატის ფორმა, როდესაც პირი ცვლის ავტორის ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს, ფორმულირებებს ან წინადადების სტრუქტურას ისე, რომ ინარჩუნებს ორიგინალი ტექსტის ძირითად აზრს, ლოგიკასა და შინაარსს, შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე;

ე) დაუდევრობით ჩადენილი პლაგიატი – პლაგიატის ფორმა, რომელიც გამოწვეულია არასწორი ან არასრული ციტირებით, წყაროს მითითების ტექნიკური შეცდომით, ავტორის ან ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გამორჩენით ან აკადემიური წერის წესების დაუცველობით, განზრახ მითვისების მიზნის გარეშე.

3. წინამდებარე კოდექსის მიზნებისათვის ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების არაკეთილსინდისიერი გამოყენება გულისხმობს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ან სხვა ციფრული ინსტრუმენტების ისეთ გამოყენებას, რომელიც არღვევს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, მათ შორის:

   ა) ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტის, ანალიზის, მონაცემის, კოდის, თარგმანის, იდეის ან სხვა აკადემიური პროდუქტის საკუთარი დამოუკიდებელი ნაშრომის სახით წარმოდგენა შესაბამისი გამჭვირვალობის ან მითითების გარეშე;

   ბ) სასწავლო, შეფასების ან კვლევითი დავალების შესრულებისას ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აკრძალულია სასწავლო კურსის, შეფასების წესის, პროგრამის ან უნივერსიტეტის რეგულაციებით;

   გ) ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აკადემიური შეფასების, კვლევითი პროცესის ან მონაცემების ავთენტურობის, სანდოობისა და დამოუკიდებლობის დამახინჯების მიზნით.

4. ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აკადემიური კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის, ავტორობის პასუხისმგებლობისა და უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების დაცვით. ნაშრომის ავტორი სრულად პასუხისმგებელია წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსზე, არგუმენტაციასა და გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და ავთენტურობაზე.

5. საყოველთაოდ ცნობილი ზოგადი ცოდნა არ მიიჩნევა პლაგიატად და არ საჭიროებს წყაროს მითითებას.

თავი III. პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი

მუხლი 7. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების პრინციპები

1. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევაზე რეაგირება და შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა ხორციელდება წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესით, კანონიერების, სამართლიანობის, პროპორციულობის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, კონფიდენციალურობის, საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და პირის მოსმენის პრინციპების საფუძველზე.
2. პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის არსებობის საკითხი შეიძლება გახდეს განხილვის საგანი, თუ სავარაუდო ქმედება დაკავშირებულია უნივერსიტეტში ან მის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით ან პროფესიულ საქმიანობასთან, ან თავისი ხასიათით არსებითად უკავშირდება უნივერსიტეტის აკადემიურ რეპუტაციას, კვლევით კეთილსინდისიერებას ან აკადემიური საქმიანობის სანდოობას.
3. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის განხილვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერსონალის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ დაწყებული წარმოების შესახებ, წარადგინოს განმარტება, მტკიცებულებები და ისარგებლოს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმებით.

მუხლი 8. პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამო დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი

1. პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის გამო დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

   ა) დაინტერესებული პირის, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ან უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება, შეტყობინება ან ინფორმაცია, რომელიც შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის შესახებ საკმარის პირველად საფუძველს;

   ბ) უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს, სტრუქტურული ერთეულის ან თანამდებობის პირის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის ფაქტის გამოვლენა, მათ შორის აკადემიური ან სამეცნიერო ნაშრომის შემოწმების, ექსპერტული შეფასების ან ელექტრონული სისტემის ანგარიშის საფუძველზე.

მუხლი 9. განცხადება პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შესახებ

1. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის შესახებ განცხადებით მიმართვის უფლება აქვს უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ინფორმაცია სავარაუდო დარღვევის შესახებ.
2. განცხადება შეიძლება შეეხებოდეს როგორც აკადემიური კეთილსინდისიერების შეფასების ფორმალური პროცესების ფარგლებში გამოვლენილ გარემოებებს (მათ შორის, კოლეგიალური შეფასების, ექსპერტული დასკვნის, ტექსტური მსგავსების გამოვლენის ელექტრონული სისტემის ან სხვა შეფასების მექანიზმის გამოყენების შედეგად), ასევე ფორმალური პროცესების ფარგლებს გარეთ გამოვლენილ სავარაუდო დარღვევებს.
3. აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის შესახებ განცხადება წარედგინება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედ კომიტეტს (შემდგომ – „კომიტეტი“) წერილობითი ფორმით და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გარდა, უნდა შეიცავდეს:

   ა) სავარაუდო დარღვევის ფაქტობრივი გარემოებების აღწერას და, შესაძლებლობის ფარგლებში, წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული დარღვევის შესაძლო სახის მითითებას;

   ბ) განცხადებაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელ მასალებს ან ინფორმაციას, მათ შორის შესაბამის ნაშრომებს, ტექსტური მსგავსების ანგარიშს, პუბლიკაციებს, კვლევით მასალებს ან სხვა რელევანტურ მტკიცებულებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4. განცხადების შინაარსი, განმცხადებლის ვინაობა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან იმ გარემოებისა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად.
5. თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, კომიტეტი განმცხადებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს.

6. ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, კომიტეტი უფლებამოსილია დატოვოს განცხადება განუხილველად, რის შესახებაც წერილობით აცნობებს განმცხადებელს.
7. კომიტეტი განცხადებას განიხილავს სამართლიანობის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, კონფიდენციალურობისა და პირის მოსმენის პრინციპების დაცვით და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს დაინტერესებულ მხარეებს.
8. კომიტეტი განცხადებასა და თანდართულ მასალებს შეისწავლის მისი რეგისტრაციიდან ან ხარვეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში და, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის საფუძველი, განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის (შემდგომ – „კომისია“) შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
9. კომიტეტის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი 5 კალენდარული დღის ვადაში გამოსცემს ბრძანებას კომისიის შექმნის შესახებ.
10. პერსონალის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება თავისთავად არ ზღუდავს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო ან პროფესიულ საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი საქმიანობის გაგრძელება არსებით და უშუალო საფრთხეს უქმნის სხვა პირთა უფლებებს, უნივერსიტეტის უსაფრთხოებას, საკუთრებას ან აკადემიურ ან პროფესიულ რეპუტაციას.

მუხლი 10. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედი კომიტეტი

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედი კომიტეტი (შემდგომ – „კომიტეტი“) არის უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი კოლეგიური ორგანო, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე კოდექსისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
2. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, ობიექტურობის, კოლეგიალობის, თანასწორობის, მიუკერძოებლობის, კონფიდენციალურობის, კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპების დაცვით.

3. კომიტეტის მიზანია უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის, პრევენციისა და განვითარების ხელშეწყობა.
4. კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

   ა) განიხილავს უნივერსიტეტის პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის შესახებ განცხადებებსა და ინფორმაციას;

   ბ) ახორციელებს განცხადების პირველადი დასაშვებობისა და საფუძვლიანობის შეფასებას;

   გ) საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

   დ) ახორციელებს წინამდებარე კოდექსით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. კომიტეტი შედგება 5 (ხუთი) მუდმივმოქმედი წევრისაგან. კომიტეტის პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.
6. კომიტეტის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მისი ობიექტურობა ან მიუკერძოებლობა.
7. კომიტეტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, თუმცა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად.
8. კომიტეტის თავმჯდომარე ხელს აწერს კომიტეტის გადაწყვეტილებებს და საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შექმნის საკითხზე, წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შესაბამის წინადადებებს.
9. კომიტეტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომიტეტის მდივანი.

მუხლი 11. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია (შემდგომ – „კომისია“) იქმნება კონკრეტული საქმის განხილვის მიზნით და შედგება შესაბამისი მიმართულების (დარგის/სპეციალობის) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან.

2. კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების (დარგის/სპეციალობის) წარმომადგენელი საქართველოდან ან უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა.
3. კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაბამის სფეროში კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია და აკადემიურ საზოგადოებაში აღიარებული პროფესიული რეპუტაცია.
4. კომისია შედგება 7 (შვიდი) წევრისაგან.
5. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის, თუ იგი დაკავშირებულია განმცხადებელთან, სავარაუდო დამრღვევ პირთან, შესაბამის ნაშრომთან, ერთობლივ კვლევით საქმიანობასთან ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს მის მიუკერძოებლობაზე.
6. კომისიის საქმიანობა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან როგორც განმცხადებლის, ასევე სავარაუდო დამრღვევი პირის უფლებები და კონფიდენციალურობა, რათა გადაწყვეტილების მიღებამდე თავიდან იქნეს აცილებული პირის რეპუტაციის გაუმართლებელი დაზიანება.
7. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.
8. კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომისიის წევრთა იდენტიფიცირება, სხდომის უსაფრთხოება და მონაწილეთა სრულფასოვანი ჩართულობა. ვიდეოჩანაწერი ერთვის სხდომის ოქმს და მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
10. კომისიის წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და არ სარგებლობს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.
11. კომისიის საქმიანობის ის პროცედურები, რომლებიც უშუალოდ არ არის განსაზღვრული წინამდებარე კოდექსით, შეიძლება დადგინდეს კომისიის წერილობითი გადაწყვეტილებით,

თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს.

12. კომისიის პირველი სხდომა ინიშნება მისი დამტკიცებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა. პირველ სხდომაზე კომისია ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

მუხლი 12. კომისიის მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

1. კომისია ვალდებულია, საკუთარი უფლებამოსილება განახორციელოს დამოუკიდებლად, ობიექტურად და მიუკერძოებლად, მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე.
2. კომისიის შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. კომისიის საქმიანობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს პირი, რომელსაც აქვს პირადი, პროფესიული, ფინანსური ან სხვა სახის ინტერესი, ან არსებობს ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის აღქმაზე.
3. კომისიის საქმიანობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს პირი, თუ იგი:

   ა) მონაწილეობდა სადავო ან სავარაუდოდ ორიგინალი ნაშრომის შექმნაში, შეფასებაში, რეცენზირებაში ან გამოქვეყნებაში;

   ბ) წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევი პირის, მისი წარმომადგენლის, განმცხადებლის ან ორიგინალი ნაშრომის ავტორის წინამდებარე კოდექსით განსაზღვრულ ახლო ნათესავს;

   გ) იმყოფება აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევ პირთან, განმცხადებელთან ან ორიგინალი ნაშრომის ავტორთან პროფესიული, კვლევითი, ფინანსური ან სხვა ისეთი ურთიერთობის ფარგლებში, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე;

   დ) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც გონივრულ ეჭვს წარმოშობს მისი ობიექტურობის ან მიუკერძოებლობის მიმართ.

4. წინამდებარე კოდექსის მიზნებისათვის „ახლო ნათესავად“ მიიჩნევა ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და, ძმა, გერი, აგრეთვე მშობლის ან შვილის მეუღლე.
5. აცილების საფუძვლის არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს თვითაცილება.
6. თუ კომისიის წევრი, აცილების საფუძვლის არსებობის მიუხედავად, არ განაცხადებს თვითაცილებას, კომისიის წევრს, განმცხადებელს ან აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევს უფლება აქვს კომისიის საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მოითხოვოს მისი აცილება.
7. კომისიის წევრის აცილების საკითხს წყვეტს კომისია ამ წევრის მონაწილეობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებამდე მისი განმარტების მოსმენის შესაძლებლობის უზრუნველყოფით.

მუხლი 13. კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე

1. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის საქმიანობას, უზრუნველყოფს კომისიის ეფექტიან ფუნქციონირებას და პასუხისმგებელია საქმის განხილვის ორგანიზებაზე.
2. კომისიის თავმჯდომარე:

   ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

   ბ) უზრუნველყოფს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრას;

   გ) კოორდინაციას უწევს კომისიის საქმიანობას;

   დ) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებსა და გადაწყვეტილებებს.
3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის, თვითაცილების ან სხვა ობიექტური გარემოების არსებობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 14. კომისიის მდივანი

1. კომისიის ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.
2. კომისიის მდივანი:

ა) ამზადებს და აწარმოებს კომისიის სხდომის ოქმებს;

ბ) უზრუნველყოფს სხდომასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ორგანიზებასა და დაცვას;

გ) ეხმარება კომისიის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში;

დ) უზრუნველყოფს კომისიის წევრების ინფორმირებას სხდომის დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ.

3. კომისიის მდივანი ვალდებულია, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე აცნობოს კომისიის წევრებს სხდომის დრო, ადგილი, ფორმატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დღის წესრიგის პროექტი, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევისა.

მუხლი 15. კომისიის უფლებები და ვალდებულებები

1. კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლისაგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, განმარტება ან დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებაში მითითებული გარემოებების სრულყოფილად შესწავლისათვის.
2. განმცხადებელი ვალდებულია კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში წარადგინოს მის ხელთ არსებული დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები. ინფორმაციის წარუდგენლობა თავისთავად არ წარმოადგენს წარმოების შეწყვეტის საფუძველს, თუ კომისია მიიჩნევს, რომ საქმის განხილვა შესაძლებელია სხვა არსებული მასალების საფუძველზე.
3. კომისიას უფლება აქვს, კონკრეტული საკითხის ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან დამოუკიდებელი ექსპერტი და მოითხოვოს წერილობითი ან ზეპირი განმარტება.
4. კომისიას უფლება აქვს, მიმდინარე წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, კომისიის სხდომაზე მოიწვიოს განმცხადებელი, აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევი პირი, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას.
5. განმცხადებელი უფლებამოსილია კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია და განმარტებები მხოლოდ განცხადებაში მითითებული გარემოებების, დარღვევის შინაარსისა და შესაბამისი

მტკიცებულებების შესახებ და არ შეიძლება წინასწარ განსაზღვროს ან მოითხოვოს კონკრეტული დისციპლინური სანქციის გამოყენება.

6. აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დამრღვევ პირს უფლება აქვს:

ა) დაესწროს კომისიის სხდომას;

ბ) მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია, მტკიცებულებები და განმარტებები საკუთარი პოზიციის დასაცავად;

გ) წარადგინოს წერილობითი მოსაზრებები;

დ) ისარგებლოს წარმომადგენლის დახმარებით.

7. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა, საქმის მიუკერძოებელი განხილვა, პირის მოსმენის უფლება და წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილი შეფასება.

მუხლი 16. კომისიის დასკვნა

1. კომისია საქმის განხილვის დასრულების შემდეგ იღებს დასკვნას, რომელშიც ასახულია აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ კომისიის დასაბუთებული პოზიცია.

2. კომისიის დასკვნა უნდა მოიცავდეს:

ა) საქმის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) ინფორმაციას განმცხადებლის, სავარაუდო დამრღვევი პირისა და საქმის საგნის შესახებ;

გ) განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და მოთხოვნის მოკლე აღწერას;

დ) საქმის განხილვის პროცესში კომისიის მიერ განხორციელებული პროცედურებისა და შესწავლილი მასალების აღწერას;

ე) კომისიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებების შეფასებას;

ვ) წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი დარღვევის სამართლებრივ შეფასებას;

ზ) დასაბუთებულ დასკვნას აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ;

თ) საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციას შესაბამისი რეაგირების ან დისციპლინური ღონისძიების თაობაზე.

3. კომისიის დასკვნა მიიღება კომისიის წევრთა ხმების არანაკლებ 2/3-ით და ხელს აწერენ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე კომისიის წევრები.

4. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის დასკვნას მთლიანად ან ნაწილობრივ, უფლება აქვს დასკვნის ხელმოწერიდან 2 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის კომისიის დასკვნას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
5. კომისიის დასკვნა ეგზავნება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედ კომიტეტს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირებისა და წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 17. კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედი კომიტეტი წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
2. გადაწყვეტილების მიღებისას კომიტეტი ხელმძღვანელობს კანონიერების, მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, მხარეთა თანასწორობის, სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპებით.
3. კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს:
   ა) კომისიის დასკვნას;
   ბ) წარმოების მასალებში არსებულ დოკუმენტებს;
   გ) საქმის ფაქტობრივ გარემოებებს;
   დ) გამოკვლეულ მტკიცებულებებს.
4. კომიტეტი ვალდებულია სათანადოდ შეაფასოს და გამოიკვლიოს ყველა ის მტკიცებულება, რომელსაც შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის გადაწყვეტისათვის.
5. კომიტეტის წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ, უფლება აქვს წარმოადგინოს წერილობითი განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის სხდომის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
6. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომიტეტის თავმჯდომარის ხმა.
7. კომიტეტის სხდომის შედეგებზე ფორმდება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომიტეტის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე) და მდივანი.

8. ოქმს ერთვის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის კომისიის დასკვნა, წარმოდგენილი წერილობითი მასალები, მტკიცებულებები და, საჭიროების შემთხვევაში, განსხვავებული აზრი.

მუხლი 18. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

1. აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით ჩატარებული წარმოების შედეგების საფუძველზე კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის არარსებობის შემთხვევაში – კომისიის დასკვნის ცნობად მიღების შესახებ;

   ბ) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში – დარღვევის სიმძიმის, ხასიათის, განზრახვის ფორმის, შედეგების, განმეორებითობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ;

   გ) მძიმე ან განმეორებითი დარღვევის, მათ შორის არსებითი პლაგიატის, ფაბრიკაციის, ფალსიფიკაციის, კვლევითი მონაცემების განზრახ განადგურების ან სხვა მძიმე დარღვევის დადგენის შემთხვევაში – უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებისა და შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი ზომის გამოყენების შესახებ, მათ შორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას კომიტეტი ითვალისწინებს:

   ა) დარღვევის ხასიათსა და სიმძიმეს;

   ბ) განზრახვის ფორმას;

   გ) დარღვევით გამოწვეულ შედეგებს;

   დ) პირის წინა დისციპლინურ ისტორიას;

   ე) დარღვევის განმეორებითობას;

   ვ) სხვა არსებით გარემოებებს.

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას კომიტეტი ვალდებულია დაიცვას სამართლიანობის, ობიექტურობის, თანაბარზომიერებისა და ჩადენილ ქმედებასთან პროპორციულობის პრინციპები.

4. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, თუ დარღვევა დაკავშირებულია უნივერსიტეტში დაცულ სადისერტაციო ნაშრომთან ან მინიჭებულ აკადემიურ ხარისხთან, კომიტეტი უფლებამოსილია შესაბამის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიმართოს აკადემიური ხარისხის მინიჭების საფუძვლიანობის შემოწმების მოთხოვნით.
5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის დაცვას უსაფუძვლო, აშკარად დაუსაბუთებელი ან ცილისმწამებლური ბრალდებებისაგან. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი, საჭიროებისამებრ, იღებს გონივრულ ზომებს პირის პროფესიული და აკადემიური რეპუტაციის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.
6. კომიტეტის გადაწყვეტილება, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორსა და იმ პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 19. კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. პირს უფლება აქვს, წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესით გაასაჩივროს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
2. თუ პირი არ ეთანხმება კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს:

   ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას;

   ბ) გასაჩივრების საფუძვლებსა და არგუმენტებს;

   გ) მოთხოვნას;

   დ) შესაბამის მტკიცებულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. წარმომადგენლობითი საბჭო საჩივარს განიხილავს კანონიერების, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპების დაცვით.

5. საკითხის განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველადი განხილვის რომელიმე ეტაპზე, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედ კომიტეტში ან კომისიაში.
6. საჩივრის განხილვისას პირს უფლება აქვს:

   ა) დაესწროს სხდომას;

   ბ) წარმოადგინოს განმარტებები, მტკიცებულებები და დამატებითი მოსაზრებები;

   გ) ისარგებლოს წარმომადგენლის დახმარებით.
7. საჩივრის განხილვის შედეგების საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) კომიტეტის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;

   ბ) კომიტეტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ან სრულად შეცვლის შესახებ;

   გ) კომიტეტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ;

   დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.
8. წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორსა და იმ პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 20. კომიტეტის ან წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში – წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
2. რექტორის გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ფარგლებში საბოლოოა და შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ჩადენილი დარღვევის ხასიათის, სიმძიმის, შედეგების, განზრახვის ფორმის, განმეორებითობისა და სხვა არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა:

   ა) შენიშვნა;

   ბ) საყვედური;

   გ) უნივერსიტეტის შიდა დაფინანსების, საგრანტო ან კვლევითი პროექტის ფარგლებში მონაწილეობის დროებითი შეზღუდვა ან შეჩერება, თუ დარღვევა დაკავშირებულია შესაბამის საქმიანობასთან;

   დ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ფინანსური ან შრომითი ხასიათის დისციპლინური ღონისძიების გამოყენება;

   ე) აკადემიური, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებისგან დროებით ჩამოშორება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;

   ვ) სამსახურიდან გათავისუფლება / შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს სამართლიანობის, პროპორციულობის, თანაბარზომიერებისა და ჩადენილ დარღვევასთან პასუხისმგებლობის ზომის შესაბამისობის პრინციპები.

3. აკადემიური კეთილსინდისიერების მძიმე ან განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია განსაზღვრული ვადით შეზღუდოს პირის მონაწილეობა უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო, კვლევით ან აკადემიურ საქმიანობაში, თუ ეს აუცილებელია უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და რეპუტაციის დაცვის მიზნით.

4. თუ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა დაკავშირებულია უნივერსიტეტში დაცულ სადისერტაციო ნაშრომთან ან მის საფუძველზე მინიჭებულ აკადემიურ ხარისხთან, შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, დამოუკიდებელი პროცედურის ფარგლებში, კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, განიხილოს აკადემიური ხარისხის ძალაში დატოვების ან გაუქმების საკითხი.

თავი IV. სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე რეაგირების წესი

მუხლი 22. სტუდენტის ვალდებულებები

1. წინამდებარე თავით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტზე, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით ან შემოქმედებით საქმიანობას, მათ შორის აკადემიური ნაშრომის, პროექტის ან სხვა აკადემიური პროდუქტის შექმნას, წარდგენას, გასაჯაროებას ან/და გამოქვეყნებას.
2. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის მიმართ გამოიყენოს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, ამავე კოდექსით დადგენილი პროცედურების დაცვით.
3. საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტი ვალდებულია:

   ა) სწავლების, სწავლისა და კვლევის პროცესში იხელმძღვანელოს წინამდებარე კოდექსითა და უნივერსიტეტის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით;

   ბ) თავი შეიკავოს აკადემიური კეთილსინდისიერების ნებისმიერი ფორმის დარღვევისაგან და არ შეუწყოს ხელი ასეთ დარღვევას პირდაპირი ან ირიბი გზით;

   გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური წერის, ციტირებისა და წყაროების მითითების წესები;

   დ) პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, საავტორო უფლებებსა და აკადემიურ წვლილს;

   ე) საკუთარი ნაშრომის მომზადებისას სათანადოდ მიუთითოს გამოყენებული წყაროები, მათ შორის საკუთარი ადრე შექმნილი ნაშრომის გამოყენების შემთხვევაში;

   ვ) გამოიყენოს სანდო, გადამოწმებული და გაუყალბებელი მონაცემები, ინფორმაცია და წყაროები;

   ზ) ინფორმაცია მოიპოვოს კანონიერად და ეთიკური სტანდარტების დაცვით;

   თ) პატივი სცეს თანაავტორ(ებ)ის აკადემიურ წვლილსა და საავტორო უფლებებს;

ი) გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ან სხვა ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებისას დაიცვას უნივერსიტეტისა და სასწავლო კურსის ფარგლებში დადგენილი წესები და არ წარმოადგინოს გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) მიერ სრულად ან არსებითად გენერირებული პროდუქტი დამოუკიდებლად შესრულებულ ნაშრომად, შესაბამისი მითითებისა და აკადემიური გამჭვირვალობის გარეშე.

4. საუნივერსიტეტო სივრცეში დაუშვებელია სტუდენტის მიერ:

ა) სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, მათ შორის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური, აუდიო ან სხვა აკადემიური მასალის, მონაცემების ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების მითვისება ან საკუთარ ნაშრომად წარმოდგენა;

ბ) სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის სათანადო ციტირების, წყაროს მითითების ან ავტორობის აღიარების გარეშე გამოყენება;

გ) ნებისმიერი წყაროდან მიღებული ტექსტის, იდეის, მონაცემის, კვლევის შედეგის, დიაგრამის, ცხრილის ან სხვა მასალის სრულად ან ნაწილობრივ გადმოტანა სათანადო მითითების გარეშე, მათ შორის მცირედი ცვლილებით (პარაფრაზირებით);

დ) საკუთარი ადრე შესრულებული ნაშრომის მთლიანად ან ნაწილობრივ ხელახლა გამოყენება შესაბამისი მითითებისა და აკადემიური წესების დაცვის გარეშე;

ე) სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის, იდეის, ტექსტის, მონაცემების ან დასკვნების გამოყენება წყაროს სათანადო მითითების გარეშე;

ვ) მონაცემების, ინფორმაციის, ციტატების, წყაროების ან კვლევის შედეგების ფაბრიკაცია, გაყალბება ან ფალსიფიკაცია;

ზ) კვლევაში მონაწილე პირის ან თანაავტორის აკადემიური წვლილის უგულებელყოფა ან არამართლზომიერი მითვისება;

თ) ფალსიფიცირებული, გაყალბებული ან შეგნებულად გადაუმოწმებელი მონაცემების, გამოკითხვების, ინტერვიუების ან სხვა კვლევითი მასალის გამოყენებით კვლევის განხორციელება;

ი) სასწავლო ან შეფასების პროცესში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) ან სხვა ტექნოლოგიური ინსტრუმენტის გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აკრძალულია სასწავლო კურსის, შეფასების წესის ან უნივერსიტეტის რეგულაციებით.

მუხლი 23. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი

1. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სასწავლო, კვლევითი ან სამეცნიერო პროდუქტი, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი, კვლევითი პროექტი, ანალიტიკური რეფერატი, კვლევითი სტატია, სამაგისტრო ნაშრომი, სადოქტორო სემინარი, სადისერტაციო ნაშრომი, პუბლიკაცია და სხვა აკადემიური პროდუქტი, რომლებშიც წყაროთა მითითება სავალდებულოა, ექვემდებარება ტექსტური მსგავსების შემოწმებას უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის შესაძლებლობას, აკადემიური პროდუქტის ოფიციალურ წარდგენამდე წინასწარ გადაამოწმოს საკუთარი ნაშრომი უნივერსიტეტში მოქმედი ტექსტური მსგავსების გამოვლენის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.
3. ტექსტური მსგავსების ელექტრონული სისტემით გამოვლენილი თანხვედრა თავისთავად არ წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ავტომატურ დადასტურებას და ექვემდებარება შინაარსობრივ შეფასებას აკადემიური წერის წესების, ციტირების სტანდარტებისა და ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის წერითი დავალების, პროექტის ან სხვა აკადემიური კომპონენტის აკადემიური კეთილსინდისიერების შეფასებას ახორციელებს სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელი ან სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იყენებს ტექსტური მსგავსების გამოვლენის ელექტრონულ სისტემას.
5. თუ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში არსებობს აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის საფუძველი, სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელი ან სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი დარღვევის შესაძლო გამოვლენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას. განცხადებას უნდა ერთოდეს შესაბამისი მტკიცებულებები, მათ შორის ტექსტური მსგავსების ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დასაბუთებული წერილობითი პოზიცია.
6. სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის (სამაგისტრო ნაშრომი, სადისერტაციო ნაშრომი, კვლევითი პროექტი, პუბლიკაცია და სხვა) ელექტრონულ ვერსიას სტუდენტი წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

7. სამეცნიერო-კვლევით პროდუქტს თან უნდა ერთოდეს სტუდენტის წერილობითი დადასტურება, რომ:

   ა) ნაშრომი შესრულებულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;

   ბ) გამოყენებული წყაროები მითითებულია დადგენილი წესით;

   გ) ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატის, ფაბრიკაციის, ფალსიფიკაციის ან სხვა აკადემიური დარღვევის ელემენტებს;

   დ) გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შემთხვევაში დაცულია უნივერსიტეტისა და სასწავლო კურსის შესაბამისი მოთხოვნები.

8. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ნაშრომის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს ტექსტური მსგავსების შემოწმებას და მასალებს გადასცემს სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.

9. სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომს და გასცემს წერილობით დასკვნას:

   ა) საჯარო დაცვაზე/განხილვაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ;

   ბ) პუბლიკაციის წარდგენის, გასაჯაროების ან გამოქვეყნების შესაძლებლობის შესახებ.

10. წერილობითი დასკვნა გაიცემა ნაშრომის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, გარდა სამაგისტრო ნაშრომისა, რომელზეც წერილობითი დასკვნა გაიცემა მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

11. აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებულ წერილობით დასკვნას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას და სტუდენტს.

12. საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი წერილობითი დასკვნის საფუძველზე განსაზღვრავს სტუდენტის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განმხილველი კომისიის შემადგენლობას და საქმის განხილვის თარიღს.

მუხლი 24. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია

1. სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის განხილვის მიზნით იქმნება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია (შემდგომ – „კომისია“), რომელიც შედგება შესაბამისი დარგის (მიმართულების, სპეციალობის) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე

ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის არანაკლებ 5 (ხუთი) და არაუმეტეს 7 (შვიდი) წევრისაგან.

2. კომისიის შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს დამოუკიდებლობას, ობიექტურობასა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. კომისიის მუშაობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს პირი, რომელსაც აქვს პირადი, პროფესიული, აკადემიური ან სხვა ინტერესი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმის მიუკერძოებელ განხილვაზე.
3. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში. სტუდენტს უფლება აქვს, დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მოითხოვოს კომისიის წევრის აცილება, თუ არსებობს გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას.
4. კომისია საკუთარი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს. კომისიის თავმჯდომარე წარმართავს სხდომას, ხოლო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას.
5. კომისიის სხდომა დახურულია. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედი.
6. კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაწილეთა ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება, უსაფრთხო კომუნიკაცია და სხდომაში სრულფასოვანი მონაწილეობა. ვიდეოჩანაწერი ერთვის სხდომის ოქმს და მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. სტუდენტს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღის, დროისა და ფორმატის შესახებ შეტყობინება ეგზავნება სხდომამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე.
8. სტუდენტს უფლება აქვს:

   ა) დაესწროს საკითხის განხილვას და ისარგებლოს სიტყვის უფლებით;

   ბ) წარადგინოს წერილობითი ან ზეპირი განმარტებები;

   გ) კომისიას წარუდგინოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, მტკიცებულებები და სხვა მასალები საკუთარი პოზიციის დასაცავად;

   დ) ისარგებლოს წარმომადგენლის ან მრჩევლის დახმარებით.

9. სტუდენტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, თუ იგი სათანადო წესით იყო ინფორმირებული, არ აფერხებს საკითხის განხილვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განხილვის გადადებას.

მუხლი 25. კომისიის დასკვნა

1. კომისია ვალდებულია, საკითხი შეისწავლოს დამოუკიდებლად, ობიექტურად და მიუკერძოებლად და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.
2. კომისია, წარმოდგენილი მტკიცებულებების, ტექსტური მსგავსების გამოვლენის ელექტრონული სისტემის ანგარიშის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნისა და სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განმარტებებისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ.
3. კომისიის წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და არ სარგებლობს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.
4. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი, დასაბუთებული და უნდა მოიცავდეს:

   ა) საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;

   ბ) გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებას;

   გ) სტუდენტის განმარტებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებას;

   დ) დასაბუთებულ დასკვნას აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ;

   ე) დარღვევის დადგენის შემთხვევაში – შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების რეკომენდაციას.
5. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ, უფლება აქვს წერილობით წარმოადგინოს განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის კომისიის გადაწყვეტილებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

6. კომისია დასაბუთებულ გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში, უგზავნის ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტს.
7. კომისიის სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, თან ერთვის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის:

   ა) სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელის, სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ან სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა;

   ბ) ტექსტური მსგავსების ანგარიში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   გ) სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განმარტებები და მტკიცებულებები;

   დ) კომისიის წევრის განსხვავებული აზრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 26. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

1. სტუდენტის სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, დარღვევის ხასიათის, სიმძიმის, განზრახვის ფორმის, შედეგებისა და განმეორებითობის გათვალისწინებით, კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიმართ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების რეკომენდაციის შესახებ.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას კომისია ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, თანაბარზომიერებისა და ჩადენილ დარღვევასთან პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობის პრინციპებით.
3. კომისიის გადაწყვეტილებას, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში – ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 27. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. სტუდენტს უფლება აქვს, წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესით გაასაჩივროს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

2. თუ სტუდენტი არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი საჩივრით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
3. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს:

   ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას;

   ბ) გასაჩივრების საფუძვლებსა და არგუმენტებს;

   გ) სტუდენტის მოთხოვნას;

   დ) შესაბამის მტკიცებულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. სტუდენტს უფლება აქვს საჩივარს თან დაურთოს შესაბამისი დარგის სპეციალისტის, მათ შორის შიდა ან გარე დამოუკიდებელი ექსპერტის წერილობითი მოსაზრება ან დასკვნა, რომელიც შეეხება წარმოდგენილ ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობას ან არარსებობას.
5. ფაკულტეტის დეკანი საჩივარს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად.
6. ფაკულტეტის საბჭო საჩივარს განიხილავს მიუკერძოებლობის, სამართლიანობის, ობიექტურობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპების დაცვით. საკითხის განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრი, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველადი განხილვის რომელიმე ეტაპზე.
7. საჩივრის განხილვისას სტუდენტს უფლება აქვს:

   ა) დაესწროს სხდომას;

   ბ) წარმოადგინოს საკუთარი განმარტებები, მოსაზრებები და მტკიცებულებები;

   გ) ისარგებლოს წარმომადგენლის ან მრჩევლის დახმარებით.
8. საჩივრის განხილვის შედეგების საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;

   ბ) კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ან სრულად შეცვლის შესახებ;

   გ) სტუდენტის მიმართ სხვა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ;

   დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ;

   ე) საქმის ხელახალი განხილვისათვის კომისიაში დაბრუნების შესახებ.

9. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში, ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორსა და სტუდენტს, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება.

მუხლი 28. კომისიის ან ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება

1. სტუდენტის სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევით პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში – შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას უნივერსიტეტის რექტორი ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, თანაბარზომიერებისა და ჩადენილ დარღვევასთან პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობის პრინციპებით.
3. უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ფარგლებში საბოლოოა და შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. დისციპლინური სანქციები

1. დისციპლინური სანქცია წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას, რომელიც გამოიყენება სტუდენტის მიმართ მის მიერ წარდგენილ სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროდუქტში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადგენის შემთხვევაში.
2. სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, დარღვევის ხასიათის, სიმძიმის, განზრახვის ფორმის, შედეგების, განმეორებითობისა და სხვა არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის რექტორის მიერ, აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისიის, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში – ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი დისციპლინური სანქცია:

   ა) გაფრთხილება;

   ბ) სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის კორექტირება;

გ) სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის გადამუშავება;

დ) კონკრეტული სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის წარდგენის უფლების ჩამორთმევა;

ე) სტუდენტის სტატუსის არაუმეტეს ერთი სასწავლო სემესტრით შეჩერება;

ვ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

3. დისციპლინური სანქციის გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს სამართლიანობის, ობიექტურობის, პროპორციულობის, თანაბარზომიერებისა და ჩადენილ დარღვევასთან პასუხისმგებლობის ზომის შესაბამისობის პრინციპები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დაკორექტირებული სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი წარადგინოს უნივერსიტეტის შესაბამის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ან სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე;

ბ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი წარადგინოს მომდევნო სასწავლო სემესტრის განმავლობაში;

გ) „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია აკადემიური/სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტი ხელახლა წარადგინოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში – ახალი ან არსებითად გადამუშავებული თემის საფუძველზე.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ აკადემიური კეთილსინდისიერების მძიმე, განზრახი ან განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში.

6. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეზღუდოს იმ სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის უნივერსიტეტის სახელით წარდგენა, გამოქვეყნება ან გასაჯაროება, რომელშიც გამოვლინდა დარღვევა.

7. საჭიროების შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტი უფლებამოსილია განსაზღვრული ვადით დააწესოს სტუდენტის აკადემიური საქმიანობის დამატებითი აკადემიური ზედამხედველობა, აკადემიური კონსულტაცია ან მხარდაჭერის სხვა მექანიზმი.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 30. კოდექსის დამტკიცება, ძალაში შესვლა და ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან, თუ შესაბამისი სამართლებრივი აქტით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.
3. კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე მისი გაუქმება, ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, სამეცნიერო კვლევების ცენტრის წარდგინების საფუძველზე.
4. უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსის შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, მის განახლებას თანამედროვე აკადემიური, კვლევითი და ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით.